სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ქალაქ ბათუმში, დასახლება მინდაში და კოტე აფხაზის ქ. №43, 47, 53-ში არსებულ მიწის ნაკვეთების განაშენიანების დეტალური გეგმა

სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის დასახელება: ქალაქ ბათუმში, დასახლება მინდაში და კოტე აფხაზის ქ. №43, 47, 53-ში არსებულ მიწის ნაკვეთების განაშენიანების დეტალური გეგმა

დამგეგმავი ორგანო: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი: ქ. ბათუმი, დასახლება მინდაში და კოტე აფხაზის ქ. №43, 47, 53-ში არსებული მიწის ნაკვეთები (ს/კ 05.32.03.215; 05.32.16.239; 05.32.03.101; 05.32.16.227; 05.32.16.228; 05.32.16.230; 05.32.16.242.)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2022 წლის 23 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა ქალაქ ბათუმში, დასახლება მინდაში და კოტე აფხაზის ქ. №43, 47, 53-ში არსებულ მიწის ნაკვეთების განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია და სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2023 წლის 11 იანვრის ჩათვლით,** მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge

სტრატეგიული დოკუმენტი – საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლითაც ცალკეული სექტორებისთვის დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ III თავის შესაბამისად და კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების სახეობებისთვის განისაზღვრება მახასიათებლები ან/და მოცულობები.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ) – „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლისა და ზოგადი პროგნოზირების პროცედურა. სგშ მოიცავს სკოპინგს, სგშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას და მათგან მიღებული რეკომენდაციებისა და შეფასების შედეგების მხედველობაში მიღებას სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისას/დამტკიცებისას.

სკრინინგი – პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროებას.